პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 5 (10091) | პარასკევი, 7 იანვარი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავის გამო (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (მე-2 და მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის სავაჭრო მოლაპარაკების გამო (მე-4 გვერდი).

ჰარი პოლიტის გამოსვლა კომპარტიის აღმოსავლეთ ინგლისის ორგანიზაციის კონფერენციაზე (მე-4 გვერდი).

ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილის განცხადება (მე-4 გვერდი).

პეკინში ჩავიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი (მე-4 გვერდი).

„ჩვენ მეტად პასუხსაგებ მომენტს განვიცდით“ (მე-4 გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲔᲑᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გასული 1954 წლის გეგმები ვადამდე შეასრულეს და პროდუქციის გამოშვების წლიურ დავალებას 123 მილიონ მანეთზე მეტით გადააჭარბეს. წინა 1953 წელთან შედარებით საერთო პროდუქციის მოცულობა 9,8 პროცენტით გაიზარდა.

სასურსათო საქონლის მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შესრულებულია: ჩაის მრეწველობაში — 101 პროცენტით, მეღვინეობაში — 106,3, პურის ცხობაში — 101,6, მაკარონის წარმოებაში — 102,2, საკონდიტრო მრეწველობაში — 103.6, თამბაქოს მრეწველობაში — 100,4, ზეთსახდელ მრეწველობაში — 109,9, საპნის წარმოებაში — 106,9, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში — 104,8, მინერალური წყლების ჩამოსხმაში — 107,9, ტარის წარმოებაში — 104,2, პოლიგრაფიულ მრეწველობაში — 122,5 და რაიონების კვების საწარმოებში — 116,5 პროცენტით.

1954 წლის 20 დეკემბრისათვის წლიური საწარმოო გეგმები შესრულებული ჰქონდა 37 ჩაის ფაბრიკას, სამტრესტის 10 საწარმოს, 10 პურსაცხობ ქარხანას, 5 საკონდიტრო საწარმოს, 3 თამბაქოს საწარმოს, 4 ტუნგოს საწარმოს, 9 ლიმონათ-ლუდის საწარმოს და მინერალური წყლების 7 საწარმოს.

რესპუბლიკის სასურსათო საქონლის მრეწველობის ბევრი საწარმოს კოლექტივმა შარშან გამარჯვება მოიპოვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მაგალითად, ღვინის პირველი ქარხნის (დირექტორი ამხ. ი. კახიძე) კოლექტივმა 1954 წლის მესამე კვარტალში მოიპოვა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია. არაერთხელ მოიპოვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პრემიები ზორჯოსტანის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის (დირექტორი ამხ. ი. ჩაჩანიძე), სამტრესტის მოსკოვის ღვინის ქარხნის (დირექტორი ამხ. პ. აზარაშვილი) და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

მნიშვნელოვანი წარმატებებით აღნიშნეს 1954 წელი საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებმა.

გასულ წელს რესპუბლიკის მეღვინეობის დარგს შეემატა სამტრესტის სისტემაში 4 ღვინის ახალი ქარხანა და შამპანური ღვინოების კომბინატის სისტემაში აგრეთვე 4 ახალი ქარხანა. შარშან მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგა კონიაკის ქარხანა თბილისში. ეს ქარხანა ყოველწლიურად მოგვცემს 200 ათას დეკალიტრ კონიაკს. ამუშავდა ძმრის ქარხანა თბილისში, ლუდსახდელი ქარხანა ქუთაისში (500 ათასი დეკალიტრის სიმძლავრისა), დამთავრდა პურსაცხობი ქარხნების აგება ჭიათურასა და გუდაუთაში, მექანიზებული პურსაცხობი ქარხნების აგება — მახარაძესა და ჭიათურაში, მთავრდება ახალი პურსაცხობი ქარხნები ქუთაისში, სოხუმსა და თბილისში.

ეს სამშენებლო ორგანიზაციები დიდ სამუშაოებს ასრულებენ სხვა სამინისტროებისთვისაც. მაგალითად, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს დაკვეთით აშენდა და უკვე საექსპლოატაციოდ გადაცემულია რძის საქალაქო ქარხნები ბათუმსა და სოხუმში, მაცივარი — თელავში. დამთავრებულია თევზმაცივრის მშენებლობა თბილისში (800 ტონა თევზის ერთდროული ტევადობისა), გაფართოებულ იქნა ვაჭრობის სამინისტროს თბილისის მაცივარი 6 ათასი ტონა ტევადობისა, 27 მილიონი მანეთი იქნა ათვისებული თბილისის მარგარინის ქარხნის გასაფართოებლად. 17 ათასი კვადრატული მეტრით გადიდდა სასურსათო საქონლის მრეწველობის საწარმოთა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების და მოსამსახურეების საცხოვრებელი ფონდი და ა. შ.

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივები სრული მზადყოფნით შეუდგნენ 1955 წლის გეგმების შესრულებას, სასურსათო საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას და ასორტიმენტის გაფართოებას.

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ

⊙ **მაუდ-კამვოლის კომბინატის** კოლექტივი ახალ სამეურნეო წელს მუშაობაში მაღალი ტემპის აღებით შეხვდა. დეკემბერში კომბინატის მქსოველებმა გეგმის გადამეტებით 69.570 მეტრი მარტო მაუდის ქსოვილი მოგვცეს. ასევე წარმატებით განაგრძობენ მუშაობას ახალი წლის პირველი დღეებიდან.

იანვრის პირველ ხუთდღიურში მქსოველები შეუდგნენ მამაკაცის საკოსტიუმე ქსოვილის „რუსთაველი“ გაუმჯობესებას. მქსოველთა ბრიგადებს შორის წარმატებით მუშაობს ბრიგადა, რომელსაც ქვეოსტატი გ. ვართანოვი ხელმძღვანელობს. მრთველებს შორის საუკეთესო მიღწევა აქვს ნ. სულაბერიძეს, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს და ამასთან ნაწარმის 97 პროცენტს პირველი ხარისხისას იძლევა. კარგი მაჩვენებლები აქვთ მთელავ ა. ტატანაშვილს და მჩეჩავ ე. მთვარელიძეს.

⊙ **მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკაში,** რომელიც რესპუბლიკის სამკერვალო მრეწველობის ერთ-ერთი დიდი საწარმოა, ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეები მასების შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთებით აღინიშნება. მიუხედავად მთელი რიგი შემაფერხებელი გარემოებებისა (ელექტროენერგიის მოწოდების შეფერხება, სამავშვო ტანსაცმლისათვის შესაფერი ქსოვილების სიმცირე) იანვრის პირველ ხუთდღიურში ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების გეგმა.

გამართული მუშაობით თავი გამოიჩინეს პირველი (უფროსი მ. ჯავახიშვილი) და მესამე (უფროსი ნ. წურწუმია) საამქროს კოლექტივებმა. ამ საამქროებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მკერავები ვ. ხათრიშვილი, ნ. ლომიძე, ნ. სვანიძე, ც. ენუქიძე, კ. რაშევსკაია და ნ. გიგილაშვილი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

6 იანვარს შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. სხდომა გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. მ. მ. ლელაშვილმა.

სხდომის დადგენილებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს შენობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობის გეგმის შესახებ ცნობით გამოვიდა კომისიის მდივანი ამხ. მ. ა. მეგრელიშვილი.

სხდომამ დაამტკიცა კომისიის მუშაობის გეგმა.

კომისიამ განსაზღვრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საოლქო საარჩევნო კომისიებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების ბეჭდების ნიმუშები.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ბიულეტენის ფორმა და ფერი ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის ოქმების ფორმები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიათა კენჭისყრის ოქმების ფორმები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობის ფორმა.

სხდომამ დაამტკიცა აგრეთვე საარჩევნო ურნების ნიმუში. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში გაგზავნონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები, რათა მათ ადგილზე გაუწიონ დახმარება არჩევნების მომზადებისათვის. (საქდესი).

ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲒᲘᲢᲞᲣᲜᲥᲢᲘ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დედაქალაქის ცენტრში — პლეხანოვის პროსპექტზე, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის შენობაში მოთავსებულ აგიტპუნქტში ყოველდღე მრავალი ამომრჩეველი იყრის თავს. აქ შეხვდებით სტალინის რაიონის საწარმოთა მოწინავე ადამიანებს, მეცნიერებს, ინჟინრებს, სტუდენტებს, დაისახლებსებს.

აგიტპუნქტი ლამაზად არის გაფორმებული. ცოცხალი ყვავილებით მორთულ დიდ და ნათელ ოთახში მაგიდაზე აწყვია ახალი ჟურნალ-გაზეთები, საარჩევნო ლიტერატურა. აგიტპუნქტში დიდი მუშაობაა გაშლილი, ყველაფერი გეგმის მიხედვით კეთდება. გეგმა კი მრავალფეროვანია: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ლექციები, საუბრები, მოხსენებები, ექსკურსიები, შეხვედრები მეცნიერების, წარმოების მოწინავე ადამიანებთან.

აგიტპუნქტში გაერთიანებულია 19 აგიტატორი. ბევრ მათგანს მასებში პოლიტიკური მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს. ამ დღეებში აგიტატორმა ლ. კაშიამ 25 თებერვლის ქუჩაზე № 9 სახლში მცხოვრებ დაისახლისებთან საინტერესო საუბარი გამართა საბჭოთა კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების შესახებ. ამომრჩეველთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს აგიტატორებმა გ. ლომინეიშვილმა, ვ. კეკელიამ, გ. გრძელიშვილმა და სხვებმა.

ამას წინათ მოეწყო დაისახლის-ამომრჩეველთა ექსკურსია დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი. დაისახლის-ამომრჩევლებს კომუნისტური პარტიის გმირული ისტორიის შესახებ ესაუბრა აგიტპუნქტის გამგე ქ. საყვარელიძე.

როცა დაისახლისმა ჯ. თურქიამ აგიტპუნქტში მოისმინა საუბარი ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ, მან განაცხადა:

— ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი კეთილმოწყობილი, ლამაზი უბანია სტალინის რაიონი. უკანასკნელ ხანს იგი კიდევ უფრო გალამაზდა და დამშვენდა. წინა არჩევნების შემდეგ საბჭოთა ადამიანებისათვის რაიონში ბევრი რამ ახალი გაკეთდა... ამჟამად ყველაზე პასუხსაგები ამოცანაა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სამუშაოთა წარმატებით შესრულება. ეს იქნება საბჭოთა ხალხის ღირსეული წვლილი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

სტალინის რაიონის მშრომელები ნაყოფიერად მუშაობენ საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. საწარმო-დაწესებულებებში ახალი ძალით გაჩაღდა არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.

ამომრჩეველთა შორის დიდ მუშაობას ეწევა აგიტპუნქტი, რომელიც მოთავსებულია პლეხანოვის პროსპექტზე სახელმწიფო ფილარმონიის შენობაში. **სურათზე:** ამომრჩეველთა ერთი ჯგუფი ეცნობა საარჩევნო ლიტერატურას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ამა წლის იანვარში სრულდება 50 წლისთავი რუსეთის პირველი რევოლუციისა, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა განსაზღვრა როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პროლოგი და გენერალური რეპეტიცია.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში დაიწყო მზადება ჩვენი ქვეყნის ხალხებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში ამ თვალსაჩინო მოვლენისათვის. სახელმწიფო საჯარო ისტორიულმა ბიბლიოთეკამ და სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ გამოსცეს ლიტერატურის მოკლე მაჩვენებელი „რუსეთის 1905-1907 წლების პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია“. ბროშურა, რომელიც შედგენილია აკადემიკოს ა. მ. პანკრატოვას მეცნიერული რედაქციით, იწყება თავით „მარქსიზმ-ლენინიზმი რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხასიათის, განვითარებისა და მამოძრავებელი ძალების შესახებ“.

მაჩვენებლის საფუძველს შეადგენენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის დოკუმენტები. წარმოდგენილია მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურა. ბროშურის თავები ასახავენ რუსეთის 1905-1907 წლების პირველი რევოლუციის ძირითად ეტაპებს. ბოლოში მოყვანილია რევოლუციის უმნიშვნელოვანესი თარიღები და რეკომენდებული ლიტერატურის ალფაბეტური მაჩვენებელი.

• • •

საბჭოთა არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ სახლში გაიხსნა რუსეთის 1905-1907 წლების პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. აქ წარმოდგენილია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი, რომლებიც მიძღვნილია რუსეთის მუშათა კლასის, გლეხობის, არმიისა და ფლოტის გმირობისადმი.

ბრაგად სტენდზეა წიგნები: მ. გორკის „დედა“, ა. ნოვიკოვ-პრიბოის „ცუსიმა“, ვ. კატაევის „თეთრად ფრიალეს იფრა ეული“, პ. დალეცკის „მანჯურიის ზორცვებზე“, მ. სოკოლოვის „ნაპერწკლები“ და მხატვრული ლიტერატურის სხვა ნაწარმოებნი. (საკდესი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲧᲐᲛᲘᲠᲘᲡᲖᲔ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ (ᲩᲐᲚᲙᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ), 4 იანვარი. (საკდესი). სულ ცოტა ხნის წინათ მიწათმოქმედებმა, ნიადაგმცოდნეებმა და დამპროექტებლებმა რაიონის მინდვრებში დადგეს ფანერის ფარები წარწერით „ბურჟუაზიულ მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა“, „XIX პარტყრილების სახელობის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა“, „მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „კომსომოლეკი“. მათ აღნიშნეს კიდევ სამი ახლადმოსწყობი საბჭოთა მეურნეობის ცენტრალური კარმიდამოს ადგილები. ახლა აქ თოვლით დაფარულ მინდვრებში გაყვანილია გზები, დადიან მანქანები. ახალწლის წინ ბურჟუკტალის საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც რკინიგზას დაშორებულია თითქმის 200 კილომეტრით, მანქანებმა დაიწყეს სადგურიდან ასაწყობი სახლების ზიდვა. გაზაფხულისათვის აქ პატარა დაბა გაშენდება.

ახალ მეურნეობებს პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ოთხი საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც რაიონში გასული წლის გაზაფხულზე მოეწყო. კერძოდ, ბურჟუკტალის საბჭოთა მეურნეობის ახალმოსახლეებისათვის ადამიანის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა თავის დაბაში გამოჰყო ბინები, კანტორა და ეხმარება მშენებლობაში.

ᲠᲝᲛᲔᲜ ᲠᲝᲚᲐᲜᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გახსნეს დიდი ფრანგი მწერლის რომენ როლანის ხელნაწერთა პაკეტები, რომლებიც მან 1934-1935 წლებში გადასცა შესანახად ბიბლიოთეკას. წერილში, რომელიც დათარიღებულია 1934 წლის 25 ნოემბრით და მიმართულია სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის დირექტორისადმი, რომენ როლანი აღნიშნავს, რომ პაკეტები შეიცავს 1914-1919 წლების „ომის წლების დღიურის“ 29 რვეულს ავტორიზებულ პირებს. ავტორმა დაიწყო პაკეტების გახსნის ვადა — 1955 წლის 1 იანვარი.

თავის წერილში რომენ როლანი აღნიშნავს, რომ 1955 წლის 1 იანვრიდან ხელნაწერები იქნება ბიბლიოთეკის კუთვნილება სრული საკუთრების უფლებით, ისინი შეიძლება გამოიცეს, აგრეთვე გამოყენებულ იქნას ისტორიული თუ ლიტერატურული შრომებისათვის.

კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრი ტ. მ. ზუევა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ფ. დ. ბრუსტოვი, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის დირექტორი პ. მ. ბოგანოვი, აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტროს, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების, ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკისა და საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს (საკდესის) წარმომადგენლები, აღნიშნული პირობების შესაბამისად 1 იანვარს გახსნა დალუქული 10 პაკეტი, რომლებზეც რომენ როლანის საკუთარი ხელით წარწერილი იყო გახსნის თარიღი.

პაკეტების გახსნისას ამოიღეს „ომის წლების დღიურის“ 29 რვეული სულ მანქანაზე დაბეჭდილი 2.650 ფურცელი, ავტორის ხელით ნასწორები.

„დღიური“ იწყება 1914 წლის 31 ივლისის ჩანაწერით და მთავრდება 1919 წლის 11 ივლისის ჩანაწერის ტექსტით. პაკეტებში იყო აგრეთვე „დღიურის“ წინასიტყვაობა რომენ როლანის ხელმოწერით.

ახლა ეწყობა ხელნაწერის თარგმნა რუსულ ენაზე, ხოლო შემდეგ დაიწყება მისი გამოცემა. (საკდესი).

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲣᲠᲑᲘᲜᲘ ᲙᲐᲮᲝᲕᲙᲘᲡ ᲰᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ, 4 იანვარი. (საკდესი). კიროვის სახელობის ქარხანამ გამოუშვა პირველი ტურბინი კახოვკის ჰესისათვის.

ახალი მძლავრი ტურბინი დააპროექტეს სტალინის სახელობის ლენინგრადის ლითონის ქარხნის კონსტრუქტორებმა. მისი მუშა ბორბლის დიამეტრი რვა მეტრია. აგრეგატის სიმაღლე გენერატორთან ერთად შეადგენს 33 მეტრს.

ამჟამად ქარხანაში მზადდება კიდევ ორი ასეთი მძლავრი ტურბინი კახოვკის ჰიდროელექტროსადგურისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ*

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39, 40 და 41 მუხლების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1955 წლის 5 იანვრის ბრძანებულებით დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ქალაქი თბილისი

კალინინის რაიონი

რუსთაველის საარჩევნო ოლქი № 31

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ბუჯიაშვილი** მიხეილ დიმიტრის-ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკთა კოლექტივისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ჭანტურაია** ელენე მაქსიმეს ასული — საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **კანდელაკი** ნინო კალისტრატეს ასული — საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ებრალიძე ვალენტინა კონსტანტინეს ასული — თბილისის სამხატვრო აკადემიის მეცნიერ მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ტატიშვილი იონა დიმიტრის-ძე — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ჯინჯიხაძე ივანე პლატონის-ძე — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის პირველადი ორგანიზაციისაგან;

იოსებაშვილი ივანე იოსების-ძე — საქართველოს „კურორტვაჭრობის“ მუშაკთა კოლექტივისაგან;

აბაზაძე ეთერ მათეს ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის საქართველოს შრომის სასახლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

იოსელიანი დარეჯან მელიტონის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პირველადი ორგანიზაციისაგან.

კიროვის რაიონი

სამრეწველო საარჩევნო ოლქი № 32

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ხაზარაძე** გიორგი ილარიონის-ძე — თბილისის № 1 ტყავის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **დეკანოზიშვილი** თინა ალექსანდრეს ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის მე-11 პოლიკლინიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **კიფარენკო** ვერა ნიკოლოზის ასული — საგალანტერიო ნაწარმის ფაბრიკის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ურუშაძე რევაზ სამსონის-ძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის 65-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

გაბრიაძე ლევან სილიბისტროს-ძე — თბილპურვაჭრობის აპარატის მუშაკთა კოლექტივისაგან;

გრიშკო ულიანა ტროფიმეს ასული — № 6 სამკერვალო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ვართანოვი გიორგი საქოს-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის საპნის სახარში ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან;

კომახიძე მარგარიტა მიხეილის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების ბამბის სართავი ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ჩხაიძე კაისარი ჯიხიროს-ძე — მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის ტრესტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

გარათაშვილის საარჩევნო ოლქი № 33

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **გოგოლიშვილი** მამია ალექსის-ძე — ბოტანიკური ბაღის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ბახშინიანი** მიხეილ ივანეს-ძე — 74-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **გურგენიძე** ნატალია სერგის ასული — ბალნეოლოგიური კურორტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მოსესოვა აგრაფინა იოსების ასული — თბილმრეწვვაჭრობის აპარატის მუშაკთა კოლექტივისაგან;

კუჭაიძე ეფრემ ალექსის-ძე — საპნის სახარში ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მიტიურინა ვერა იაგორის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების საგალანტერიო ნაწარმის ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ბიბილეიშვილი პელაგია ილარიონის ასული — ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის № 6 სამკერვალო ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ბულავენკო ევგენია ანანიას ასული — ფართო მოხმარების საქონლის ქარხნის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

კოჩაროვა ელენე მიხეილის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის მე-11 პოლიკლინიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

ლესელიძის საარჩევნო ოლქი № 34

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ბარძიმოვი** გიორგი ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სარეწაო საბჭოს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ხუროძე** ნათელა გიორგის ასული — 65-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **მუქერია** თამარ სილოვანის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის საბავშვო პოლიკლინიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

გაგუა გიორგი მურზაყანის-ძე — სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა პროფკავშირის მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის მაღაზია № 2 პირველადი ორგანიზაციისაგან;

შევჩენკო პეტრე ევგრაფის-ძე — ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ქიმკომბინატის პირველადი ორგანიზაციისაგან;

კიკნაძე გრიგოლ გიორგის-ძე — საიუველირო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ძამაშვილი ირინე ალექსის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების № 2 ტყავის ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან;

სააკიანი მანია ამბარცუმის ასული — არტელ „შალის წარმოების“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

გურინა ტატიანა ემელიანეს ასული — ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის № 6 სამკერვალო ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

კიროვის საარჩევნო ოლქი № 35

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ჩომახიძე** ვლადიმერ იოსების-ძე — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ვარძიელი** ელენე დავითის ასული — 67-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ჩიქვანაია** ლილი ალექსანდრეს ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

იაკოვენკო ივანე პავლეს-ძე — ქიმკომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

აბაჯიანი არტავაზდ ტიგრანის-ძე — სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა პროფკავშირის „საქტანსაცმლის“ № 1 სამკერვალო ატელიეს პირველადი ორგანიზაციისაგან;

პერეკრესტოვი ბორის ნიკოლოზის-ძე — კამოს სახელობის თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ზალიევა სოფიო ვასილის ასული — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ქარხანა „საქტრიკოტაჟის“ პირველადი ორგანიზაციისაგან;

პანოვა თეოფილა ივანეს ასული — ბამბის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ლომაძე ლეილა მიხეილის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის 24-ე პოლიკლინიკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

კუშკინის საარჩევნო ოლქი № 36

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ხაჩიძე** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მუშაკთა კოლექტივისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **გელაშვილი** შალვა ტარასის-ძე — „გლავობუტორგის“ საქართველოს რესპუბლიკური სავაჭრო ბაზის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **კალანდაძე** თამარ იასონის ასული — სანეპიდსადგურის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ფირცხელაური ქეთევან გიორგის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის კიროვის რაიონის საბავშვო პოლიკლინიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

დოდინა ცისანა თეოდორეს ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ პირველადი ორგანიზაციისაგან;

ხეჩიაშვილი ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე — № 1 ტყავის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

გურგენიძე მარიამ ირაკლის ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის 62-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

სარაჯიანი ამბარცუმ ავეტიკის-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საიუველირო ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

დვალი ირაკლი ნესტორის-ძე — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სამრეწველო კომბინატის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ორჯონიკიძის რაიონი

ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი № 37

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ცაგარეიშვილი** შალვა ვლადიმერის-ძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **თათრიშვილი** ნინო თომას ასული — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ჯიქია** ლუბა პავლეს ასული — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

გოცაძე მუხრან მაკარის-ძე — სამტრესტის № 1 ღვინის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

შარაშენიძე შალვა სილოვანის-ძე — წითელი ჯვრის საზოგადოების სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ლარცულიანი შიო კონსტანტინეს-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ჭავჭანიძე თამარ ვლადიმერის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის მე-9 პოლიკლინიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ტატულოვა ნინელი ლეონიდეს ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის „საქსახპროექტის“ ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ცინცაძე ვერა გიორგის ასული — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

მელიქიშვილის საარჩევნო ოლქი № 38

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ფრანგიშვილი** ალექსანდრე სევერიანეს-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **უზნაძე** თინათინ პავლეს ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის 54-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **შიუკაშვილი** ნარბარე ილიას ასული — სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს მუშაკთა კოლექტივისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ტარასაშვილი გიორგი მიხეილის-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ფალავანდიშვილი ირაკლი ვასილის-ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური სამკურნალო-სანატორიული სამმართველოს სამკურნალო კომბინატის სამედიცინო მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ყიფშიძე ევგენია კონსტანტინეს ასული — 51-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან;

ჯაფარიძე ლიდა ნესტორის ასული — პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

წივწივაძე შალვა ლეონტის-ძე — პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

კალმახელიძე ალექსანდრე თეოდორეს-ძე — ტრესტ „საქენერგოს“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ლადო კეცხოველის საარჩევნო ოლქი № 39

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **მენთეშაშვილი** ირაკლი ტიმოთეს-ძე — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორების, მასწავლებლების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ბაქრაძე** გიორგი სილიბისტროს-ძე — ტრესტ „საქმინწყლების“ პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ზვიადაძე** მარგარიტა იოსების ასული — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ცინცაძე იასე ზაქარიას-ძე — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების, მასწავლებლების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ფალავა ირაკლი ყარამანის-ძე — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან;

მშვიდობაძე არისტარხე ევსევის-ძე — წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან.

კოლხიდის საარჩევნო ოლქი № 42

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **საკანდელიძე** მარგარიტა მიხეილის ასული — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ვაშაკიძე** ანდრია ვლადიმერის-ძე — ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორების, მასწავლებლების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

თამაზაშვილი არჩილ გიორგის-ძე — სამტრესტის ლიქიორის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

დვანაძე მინადორა გიორგის ასული — ტრესტ „საქენერგოს“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

კეკელიძე პროკლე ლევარსის-ძე — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ჩანტლაძე აბელ ერასტის-ძე — საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან.

სტუდენტთა საარჩევნო ოლქი № 41

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **გვერდწითელი** ილია მიხეილის-ძე — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ვეკუა** ნიკოლოზ პეტრეს-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ცეცხლაძე** თეა ვლადიმერის ასული — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების, მასწავლებლების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

თამაზაშვილი არჩილ გიორგის-ძე — სამტრესტის ლიქიორის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

სურმავა დავით გიორგის-ძე — სარაჯო-საგალანტერიო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

კეკელიძე პროკლე ლევარსის-ძე — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ჩხეიძე ნინო ილიას ასული — 53-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან;

კვაშალი ფილიპე დავითის-ძე — მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ვენაძე გრიგოლ იობის-ძე — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის სახელმწიფო ცირკის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საბურთალოს საარჩევნო ოლქი № 43

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **კობახიძე** მიხეილ გიორგის-ძე — ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორების, მასწავლებლების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ანთაძე** ვლადიმერ სამსონის-ძე — ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **აბულაძე** ელენე ივანეს ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ოდიკაძე რაისა ნესტორის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების პირველადი ორგანიზაციისაგან;

რაზმაძე ლიზა დავითის ასული — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მე-8 პოლიკლინიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

მაისურაძე ნოდარ შიოს-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ჩუბინიშვილი ოთარ გიორგის-ძე — საქართველოს ლუდისა და ლიმონათის ტრესტის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

აღლაძე დავით გიორგის-ძე — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორების, მასწავლებლების, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

გორგაძე ელენე სამსონის ასული — საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან.

დელისის საარჩევნო ოლქი № 44

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ჯიმშელეიშვილი** გალაქტიონ ათანასეს-ძე — ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ხაზარაძე** ნიკოლოზ ილარიონის-ძე — საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ციცხვაია** მარიამ გაბრიელის ასული — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების 61-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ფირცხალაიშვილი მოსე კონსტანტინეს-ძე — 63-ე საშუალო სკოლის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ჩაგანავა ლუბა ნესტორის ასული — 61-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან.

შარაძენიძე თინათინ სიმონის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველადი ორგანიზაციისაგან;

გოჩიტაშვილი ქსენია ივანეს ასული — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ლომაძე გიორგი მელიტონის-ძე — სახურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

როსტომაშვილი მიხეილ წყალობას-ძე — „თბილჰიდროენერგოპროექტის“ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

* დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 4.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

26 კომისრის რაიონი

ნასაკირალის საარჩევნო ოლქი № 45

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ჯაფარიძე** შალვა ალექსანდრეს-ძე — თბილისის მაკარონისა და ფქვილეულის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ზოპუნიანი** მამიკონ კარაპეტის-ძე — 79-ე საშუალო სკოლის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ვაცაძე** ანა ნიკოლოზის ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის 79-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ბეგლარიანი არშალუს ნიკოლოზის ასული — 94-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან;

ცოცოლაშვილი ანა სოლომონის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების სატრიკოტაჟო-საგალანტერეო ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

პოტრეუბსკი კაზიმირ ანტონის-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სატრიკოტაჟო-საგალანტერეო ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

გაგნიძე შოთა არჩილის ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 26 კომისრის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ვოლკოვა ანასტასია იაკობის ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის მე-17 საბავშვო ბაღის პირველადი ორგანიზაციისაგან;

გელაშვილი სიმონ ალექსანდრეს-ძე — „თბილხალბოსტანვაჭრობის“ მე-2 საწარმოო კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

26 კომისრის საარჩევნო ოლქი № 46

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **იავრიანი** მარტინ ოგანეზის-ძე — 26 კომისრის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ბუხაიძე** სამსონ ზაგრატის-ძე — კბილის საპროტეზო ლაბორატორიის მუშაკთა კოლექტივისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **მეგრელიშვილი** მიხეილ ილიას-ძე — მე-80 რვაწლიანი სკოლის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ერამოსიანი ზავენ ლევონის-ძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის 94-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ბალაშოვა სერაფიმა ნიკოლოზის ასული — ამიერკავკასიის აეროგეოდეზიური წარმოების პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ბლიახმანი მონას აბრამის-ძე — გეოლოგიურ-კვლევითი სამუშაოების მუშაკთა პროფკავშირის ამიერკავკასიის აეროგეოდეზიური წარმოების პირველადი ორგანიზაციისაგან;

ხაჩიანი ზარვარუტ მიხეილის ასული — მე-80 რვაწლიანი სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან;

აკოფიანი შუშიკ ოგანეზის ასული — 93-ე საშუალო სკოლის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ვეფხვაძე ციცინო სევერიანეს ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის უსინათლოთა სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

შაუმიანის საარჩევნო ოლქი № 47

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **დიდია** გრიგოლ პარმენის-ძე — სახელმწიფო ბანკის 26 კომისრის რაიონის განყოფილების მუშაკთა კოლექტივისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ძიმისტარაშვილი** ივლიანე ყარამანის-ძე — არტელ „ავანგარდის“ პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ბახტაძე** ვერა არკადის ასული — საფინანსო-სამეურნეო მუშაკთა პროფკავშირის სახელმწიფო ბანკის 26 კომისრის რაიონის განყოფილების პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მურადიანი მარგარიტა ვაგარშაკის ასული — არტელ „ავანგარდის“ წევრებისაგან;

შუბლაძე ვერა სპირიდონის ასული — „გრუზგლავსელსობჭის“ პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ბროკიშვილი იონა თომას-ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის „გრუზგლავსელსნაბის“ პირველადი ორგანიზაციისაგან;

ვართაპეტოვი ხაჩიკ ეღიშას-ძე — სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ზეთსახდელი ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან;

მაისაშვილი ეთერ თომას ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის ზეთსახდელი ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან;

საჯაია მამია პლატონის-ძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის პროფკავშირის 91-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

ჯაფარიძის საარჩევნო ოლქი № 48

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ლომიძე** შოთა ვასილის-ძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის 26 კომისრის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ხრამცოვი** ალექსანდრე ივანეს-ძე — 26 კომისრის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გამწვანების კანტორის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **გევონდიანი** გალია გიორგის ასული — 26 კომისრის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

საგათელიანი ანდრანიკ მკრტიჩის-ძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის 92-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ვერბეცკაია ზოია ვლადიმერის ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის 98-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ბერიძე თამარ პავლეს ასული — 91-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან;

გოგოსაშვილი ივანე ზაქარიას-ძე — თბილისის კერამიკული კომბინატის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

გეგეჭკორი ილია ლუკას-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების 93-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ვაშაკიძე მარიამ ნესტორის ასული — „ზაგოტზერნის“ სამმართველოს მექანიკური ხანაფქვილის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

300 არაგველის საარჩევნო ოლქი № 49

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ლლონტი** შალვა გრიგოლის-ძე — ქალაქის პირველი საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ბაღდასაროვი** გურგენ არტემის-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების 26 კომისრის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ლოპატა** ევდოკია თევდორეს ასული — ქალაქის პირველი საავადმყოფოს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ბეგოიძე თენგიზ არჩილას-ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის № 1 საკონდიტრო ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ჭეიშვილი ქეთევან კონდრატის ასული — ქალაქის პირველი საავადმყოფოს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

კაკაბაძე ლავრენტი ალექსის-ძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის 78-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

გოდუნოვა ევდოკია სტეფანეს ასული — 78-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან;

ტერ-ოსიპოვი არტაშეს სტეფანეს-ძე — ნებაყოფლობითი სანანძრო საზოგადოების შოკოლადის ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

დარბინიანი ნორა სტეფანეს ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 89-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

ფიოლეტოვის საარჩევნო ოლქი № 50

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **კრილოვი** ალექსი პეტრეს-ძე.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ვაშაკიძე** ვლადიმერ სარდიონის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის მე-11 დისტანციის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ხაჩოევი** მარგარიტა იაკობის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების 26 კომისრის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

აკიმოვი ვლადიმერ ვლადიმერის-ძე — 90-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან;

ერშოვა მარიამ ივანეს ასული — 90-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან;

ზელენკოვა ოლგა დიმიტრის ასული — თბილისის წისქვილ-კომბინატის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ნაბიბეგოვი მუხტარ გაჯის-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის წისქვილკომბინატის პირველადი ორგანიზაციისაგან;

მაქაძე გიორგი სოფრომის-ძე — არტელ „საყოფაცხოვრებო მომსახურების“ წევრებისაგან;

ხიტირია ეფემია მოსეს ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის 84-ე რვაწლიანი სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

კახეთის საარჩევნო ოლქი № 51

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **გუჩმაზაშვილი** გიორგი ნიკოლოზის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ნავთლუღის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **ვაჩეიშვილი** შოთა კარპეზის-ძე — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის 26 კომისრის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **არაბიანი** არმენუი მანუკის ასული — 98-ე საშუალო სკოლის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მეგრელიშვილი მარიამ იაკობის ასული — თბილისის შოკოლადის ფაბრიკის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

დოვგალი იულია ნიკოლოზის ასული — სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის მარგარინის ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან;

კაზარიანი ბენიამინ გრიგოლის-ძე — თბილისის მარგარინის ქარხნის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ტოკაევი ვალენტინ გიორგის-ძე;

ხარაჯიანი ამალია სიდრაკის ასული — „გლავნეფტეფსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს ბაზის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

დევიძე კონსტანტინე ნესტორის-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ავტოსარემონტო ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან.

მიქოიანის საარჩევნო ოლქი № 52

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **კობიძე** ტოგო ნესტორის-ძე — თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **დავიდოვი** ივანე მიხეილის-ძე — ავტოსარემონტო ქარხნის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **გაბათაშვილი** ნინო ვასილის ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის 85-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ეუფვაგინი სერგი სტეფანეს-ძე;

როსტომაშვილი არაკელი კონსტანტინეს-ძე — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მეორე რაიონის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ნოტკინი პავლე სოლომონის-ძე — სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის მიქოიანის სახელობის თბილისის ხორცკომბინატის პირველადი ორგანიზაციისაგან;

პეტროპავლოვსკაია ტატიანა ივანეს ასული — თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

კიკნაძე თინა ლავრენტის ასული — რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ნავთლუღის პირველადი ორგანიზაციისაგან;

მარკოვა თამარ ილიას ასული — 76-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან.

ნავთლუღის საარჩევნო ოლქი № 53

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ფურცელაძე** კონსტანტინე სიმონის-ძე — თბილისის ქაღალდის ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **გელაშვილი** სპირიდონ თადეოზის-ძე.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ლორთქიფანიძე** მარიამ ალექსანდრეს ასული — არტელ „საყოფაცხოვრებო მომსახურების“ პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

გაბაიდულინი ჯანგირი რახმატულის-ძე — თბილისის № 1 ტექნიკური სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან;

ვალოევი ვალენტინა ნიკანორის ასული — ქაღალდის ფაბრიკის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

მელნიკი მარიამ სერგის ასული — სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ქაღალდის ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

თათარაშვილი ციალა ალექსანდრეს ასული;

ჩერვოტკინა ანგელინა ვასილის ასული;

დანილოვა ვალენტინა ალექსანდრეს ასული.

დიმიტროვის საარჩევნო ოლქი № 54

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **კიკნაძე** შალვა დავითის-ძე.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **კირაკოზოვი** გრიგოლ არტემის-ძე.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ფორდანია** რუსუდან ივანეს ასული.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

გევორქიანი ხაჩიკ კამსარის-ძე — 95-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან;

მჭედლიძე მერი ილიას ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის 99-ე რვაწლიანი სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ბუგიანიძე არჩილ ნიკოლოზის-ძე — ნავთლუღის ფეხსაცმლის ფაბრიკის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ნორკო ლიუდმილა ვიქტორის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის № 1 ტექნიკური სასწავლებლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

კაკულია სიმონ მათეს-ძე — სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ქაღალდის ფაბრიკის პირველადი ორგანიზაციისაგან;

სარქისოვა სედა ავაქის ასული.

გარეუბნის რაიონი

ავჭალის საარჩევნო ოლქი № 55

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ზურაბიშვილი** ვალერიან ნიკოლოზას-ძე — გარეუბნის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **კოპლავაშვილი** ერემია ივანეს-ძე — ქარხანა „ცენტროლიტის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **ბერძენიშვილი** სოფიო ერმოლოს ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის გარეუბნის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მიმინოშვილი თამარ ვასილის ასული — ავჭალის შუშის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ვარდანაშვილი ნინო მიხეილის ასული — გლდანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

გაფიშვილი მარიამ ვასილის ასული — დიდი ლილოს საბავშვო ბაღის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

გოგიძე მარიამ სოლომონის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების გლდანის ვალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი ორგანიზაციისაგან;

შავერდაშვილი გიორგი თეოფანეს-ძე — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების დიდი ლილოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი ორგანიზაციისაგან;

გოგელია რაფიელ ერმილეს-ძე — ავჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

მარტყოფის საარჩევნო ოლქი № 56

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ბუხრაშვილი** ლევან თევდორეს-ძე — საქართველოს კპ თბილისის გარეუბნის რაიკომის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **დანელია** ევგენი ივანეს-ძე — ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **გოგნიაშვილი** ნინო იოსების ასული — მარტყოფის სოფლის კოოპერატივის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ბერუაშვილი მიხეილ ესტატეს-ძე — მარტყოფის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

არაქელოვა ნატალია გიორგის ასული — ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ბეჟანიშვილი ირა ივანეს-ძე — საცხენისის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ლეკიშვილი რუსუდან ნიკოლოზის ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის მარტყოფის საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ბადრიძე ოთარ ალექსანდრეს-ძე — წითელი ჯვრის საზოგადოების ნორიოს ნავთბურღვის კანტორის პირველადი ორგანიზაციისაგან;

სომხიშვილი თამარ გიორგის ასული — ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

დიღმის საარჩევნო ოლქი № 57

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ბერაძე** შალვა იონას-ძე—გარეუბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **სანაძე** დავით ილიას-ძე — სამტრესტის დიღმის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — **სოზიაშვილი** ელენე ნიკოლოზის ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის გარეუბნის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

მიჭელაშვილი გიორგი დიმიტრის-ძე — დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ლილუაშვილი ეკატერინე დავითის ასული — ლისის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ბაქრაძე თამარ პეტრეს ასული — დიღმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ვაშალომიძე ალექსანდრე პანტელეიმონის-ძე — საქართველოს სახელმწიფო მანქანათა საგამოცდო ზონალური სადგურის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მამუჩაშვილი იულია ვლადიმერის ასული — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის გარეუბნის რაიონული ორგანიზაციისაგან;

მარიამული დავით ისაკის-ძე — დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

კოჯრის საარჩევნო ოლქი № 58

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **თელია** ნიკოლოზ მათეს-ძე — გარეუბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — **მიგრიაული** ალექსანდრე ისაკის-ძე — ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი—**აბუთიძე** დომენტი ვლადიმერის-ძე — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის გარეუბნის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

იობაძე ნორა ივლიანეს ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის გარეუბნის რაიონული ორგანიზაციისაგან;

დევრისაშვილი ლიზა ალექსანდრეს ასული — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის გარეუბნის რაიონული ორგანიზაციისაგან;

მარიამული ალექსი დავითის-ძე — ტაბახმელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

პაპაშვილი ეთერ პავლეს ასული — ტაბახმელის რვაწლიანი სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მოსამსახურეებისაგან;

ხალილოვა ალეითარ ბაირამ ყზი — ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ჯამალაშვილი იოსებ მიხეილის-ძე — თელეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

• • •

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანარჩენი საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა გამოქვეყნდება შესაბამის საქალაქო და რაიონულ გაზეთებში.

წერილები რედაქციას

მეჯი ყურადღებას გარცხანას

ბარცხანა, რომელსაც ზედ აკრავს სტალინის სახელობის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშათა საცხოვრებლები, ქალაქ ბათუმის ერთ-ერთი მშვიდრად დასახლებული გარეუბანია. იგი სამოდე კილომეტრით არის დაშორებული ქალაქს. აქ ძირითადად ცხოვრობენ სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი, კოფეინის, ფანერის ქარხნებისა და რკინიგზის ბათუმის კვანძის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები.

ამ გარეუბნის სტალინის სახელობის გზატკეცილი, შრომის, პლატფორმის, ბალის, წყლისპირისა და მთელი რიგი სხვა ქუჩები კეთილმოუწყობელია. წვიმის დროს გაუვალი ტალახი დგება. აგარაკის ქუჩაზე 1942 წლიდან დგას დაუმთავრებელი მრავალსართულიანი ქვის შენობა, რომელსაც ხუსი მოედო. მისი ქვედა სართული წყლით აივსო და მალარიის ბუდედ იქცა. შენობა რამდენიმე მილიონი მანეთი დაჯდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მის დამთავრებასა და გამოყენებაზე არავინ ფიქრობს.

ბარცხანის მოსახლეობა მოკლებულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას, აქ არ არის კლუბი, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა კინოსურათების ჩვენება, არ არის სამბავშვო ბაღი და ბაგა, ამბანო და წითელი კუთხე. პურის წერტი დილით გვიან იღება, ხოლო ერთადერთ მაღაზიას საღამოობით ადრე კეტავენ. საჭირო მაღაზია ღამის 10 საათამდე მაინც მუშაობდეს, პურის წერტი კი დილის 7 საათიდან იყოს ღია.

აქ ავტობუსი ერთადერთი სატრანსპორტო საშუალებაა, მაგრამ მისი მოძრაობაც მოუგვარებელია, ბარცხანაში გავლისას ავტობუსებს ხშირად არ აჰყავთ მგზავრები, რადგან გადატვირთული არიან. აუცილებელია, რომ ორი ავტობუსი მაინც დაინიშნოს ბარცხანისა და „გოროდოკის“ გავლით. საკვირველია, რატომ მოხსნეს მარშრუტები ქალაქის ვაგზლის გავლით. ვაგზალს ავტობუსის არც ერთი მარშრუტი არ უკავშირდება, რაც დიდ უხერხულობას ქმნის.

ბარცხანაში არ ჩერდება თბილისისა და სოჭის მატარებლები. ეს გარეუბნის მოსახლეობის, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისა და „გოროდოკის“ მცხოვრებთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ამ საკითხზე „კომუნისტში“ წერილიც კი იყო გამოქვეყნებული, მაგრამ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო ამას არ გამოხმაურებია.

ყველა ეს საკითხი ჩვენ არაერთხელ დავაყენეთ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე, მაგრამ დღემდე უყურადღებოდ დარჩა.

მ. კოსტრეიძე,
მ. ბაბილოკი,
ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატები.

ღლეები გაღის... მდგომარეობა უცვლელია

ბაკურციხე ერთ-ერთი მოზრდილი დასამაზი სოფელია გურჯაანის რაიონში. ერთი შეხედვით ამ სოფელში თითქოს ყველაფერი რიგზეა. თუ ღრმად ჩავწვდებით მის ცხოვრებას, შევამჩნევთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სოფელს არა აქვს კლუბი, თუმცა წლების განმავლობაში არსებობს კლუბის გამგის საშტატო ერთეული და ხელფასიც იხარჯება. სოფელში კულტურულ-მასობრივი მუშაობა ჩაშლილია. კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დარბაზში უჩვენებენ კინოფილმს. მაგრამ აქ დიდი უწესრიგობაა.

სოფელში ერთ დროს ბანო იყო, ახლა კი მისი შენობა გამოუყენებელია. ამის შესახებ რაიონულ გაზეთ „საკოლმეურნეო შრომაშიც“ დაიწერა. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ჯადუგიშვილმა რედაქციას აცნობა, ბანოს ასამუშავებლად ზომები მიღებულიაო. მაგრამ მდგომარეობა უცვლელი დარჩა. ღლეები გადის, ბანო კი მაინც არ მუშაობს.

სოფელს სასმელი წყალი აკლია. წყალი მხოლოდ ერთ ადგილას არის, მაგრამ იქაც „კაპიტალური შეკეთების“ შემდეგ დებიტმა იკლო.

ყოველივე ამის გამო კოლმეურნეები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

მ. ჯაბაშვილი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„როცა კრება მოუმზადებელია“

„კომუნისტის“ 1954 წლის 23 ნოემბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნდა კორესპონდენცია ტყიბულშახტშენის ტრესტის საბინაო-კომუნალური განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. ვ. ტურძილაძეს და რაიონული კომიტეტის წარმომადგენელს ამხ. გ. სოფრომაძეს საანგარიშო-საარჩევნო კრების მომზადებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის საყვედური გამოუცხადა. პარტიული ორგანიზაციის მდივნისა და საქართველოს კპ ტყიბულის რაიონული ორგანიზაციის 26-ე კონფერენციის დელეგატების არჩევნები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის დარღვევის გამო გაუქმებულ იქნა.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის სავაჭრო მოლაპარაკების გამო

1954 წლის 20 დეკემბრიდან 1955 წლის 5 იანვრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა სავაჭრო მოლაპარაკება იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაციასა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს შორის.

ამ მოლაპარაკების შედეგად ა. წ. 5 იანვარს ხელმოწერილ იქნა სავაჭრო და საგადასახდელო შეთანხმებანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის. ამავე დროს დაწესდა ორივე ქვეყანას შორის საქონლის ურთიერთმიწოდების სიები 1955 წლისათვის.

იუგოსლავია სსრ კავშირს მიაწვდის კაუსტიკურ და კალცინირებულ სოდას, კალციუმის კარბიდს, ქრომელს, თამბაქოს, სპირე ტკავს, ეთილის სპირტს, ნათალ ფანერს და სხვა საქონელს.

საბჭოთა კავშირი თავის მხრივ იუგოსლავიას მიაწვდის მისი ეკონომიკისათვის საჭირო ნედლეულ და სამრეწველო საქონელს — ბამბას, ნავთობს, ნავთობ პროდუქტებს, საგაზეთო ქაღალდს, მარგანეცის მადნს, ანტრაციტსა და სხვა საქონელს.

აღნიშნულ შეთანხმებებს საბჭოთა კავშირის მხრივ ხელი მოაწერა საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კაბანოვმა, იუგოსლავიის მხრივ — იუგოსლავიის მთავრობის სავაჭრო დელეგაციის მეთაურმა, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩის წევრმა მიალკო ტოდოროვიჩმა.

ავღანეთის სენატმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირ - ავღანეთის სავაჭრო შეთანხმება

კარაჩი, 5 იანვარი. (საკდესი). კარაჩის რადიოს ცნობით, ავღანეთის სენატმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის სავაჭრო შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს ქაბულში გასული წლის 5 დეკემბერს.

პეკინში ჩავიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი

პეკინი, 5 იანვარი. (საკდესი). როგორც პეკინის რადიო იუწყება, დღეს დღისით პეკინში ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი.

ჯოუ ენ-ლაიმ მიიღო ჰამარშელდი

პეკინი, 5 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი.

გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების 84-ე მოწვევის კონგრესის პირველი სესია

ვაშინგტონი, 6 იანვარი. (საკდესი). გუშინ გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების 84-ე მოწვევის კონგრესის პირველი სესია.

ცნობილია, რომ გასული წლის 2 ნოემბრის არჩევნების შედეგად დემოკრატიულმა პარტიამ მოახერხა, თუმცა უმნიშვნელო უმრავლესობით, დაეწესებინა თავისი კონტროლი კონგრესის ორივე პალატისადმი.

ჰყავდათ რა უმრავლესობა ორივე პალატაში, დემოკრატებს უფლება აქვთ განსაზღვრონ კონგრესის კომისიების შემადგენლობა, დანიშნონ ამ კომისიების თავმჯდომარენი და მათი სამუალებით მოაწესრიგონ კანონპროექტების გატარება, აგრეთვე ცვლილებანი შეიტანონ საკანონმდებლო პროგრამაში, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს კონგრესს რესპუბლიკელთა კანდიდატის სახით პრეზიდენტად არჩეული ეიზენჰაუერის მთავრობა. ამრიგად, იქმნება თავისებური მდგომარეობა, როცა კონგრესის მიერ მთავრობის საკანონმდებლო პროგრამის მოწონება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა შეიქმნება დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის.

ეიზენჰაუერის მთავრობის პროგრამა ჩამოყალიბდება პრეზიდენტის 8 წერილში, რომლებსაც იგი გაუგზავნის კონგრესს იანვრის განმავლობაში. ამერიკის პრესის ცნობით, კონგრესი უწინარეს ყოვლისა განიხილავს ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხს, ხელშეკრულებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის შესახებ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩანკაიშელთა ხროვას შორის ამას წინათ დადებულ ხელშეკრულებას, შეიარაღებული ძალების რეზერვების გადიდებისა და უცხო სახელმწიფოებისადმი „სამხედრო დახმარების“ პროგრამის საკითხებს. ფიქრობენ, რომ ამ საკითხთა განხილვა არ გამოიწვევს არსებითს უთანხმოებას, რადგან, როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, საგარეო პოლიტიკის დარგში და სამხედრო საკითხებში მთავრობისა და დემოკრატიული პარტიის თვალსაზრისი ერთმანეთს ემთხვევა.

რაც შეეხება რესპუბლიკელთა შინაპოლიტიკურ პროგრამას, საქმეს გაცნობილ მომმოხილველთა მტკიცებით, იგი არაფრით არ განსხვავდება შარშანდელი პროგრამისაგან. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების უდიდესი ნაწილი კვლავ მოდის სამხედრო ხარჯებზე, ხოლო მოსახლეობის სოციალურ საჭიროებათა ხარჯები შეადგენენ მეტად უმნიშვნელო თანხას. კვლავ განზრახულია დამტგრის მაღალი დონის შენარჩუნება, პროგრესული ელემენტების ფართო დევნა და სხვ.

წარსულის გამოცდილება ცხადყოფს, რომ რესპუბლიკელთა და დემოკრატთა უთანხმოება კონგრესში ჩვეულებრივ ხდება მხოლოდ არა არსებით საკითხებზე. ძირითად საკითხებში რესპუბლიკელები და დემოკრატები მუდამ მოქმედებენ სრული თანხმობით, რამდენადაც როგორც პირველთა, ისე მეორეთა ზურგს უკან დგანან ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიები.

ჰარი პოლიტის გამოსვლა კომპარტიის აღმოსავლეთ ინგლისის ორგანიზაციის კონფერენციაზე

ლონდონი, 5 იანვარი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია აწყობს კონფერენციებს იმ მიზნით, რომ ჭეიდროდ დარაზმოს ინგლისის მუშათა კლასის რიგები ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ ბრძოლაში. გამოვიდა რა 4 იანვარს პირველ ასეთ კონფერენციაზე, რომელიც აღმოსავლეთ ინგლისის ორგანიზაციამ მოაწყო, დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ ინგლისის კომუნისტებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი იმყოფებიან „ოკუპირებულ რაიონში“.

თქვენ აქ ცრავალი შესაძლებლობა გაქვთ დაინახოთ, თქვა პოლიტმა, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში ამერიკული ცხოვრების წესი.

ჰარი პოლიტმა აღნიშნა, რომ ყველა პატიოსან ინგლისელს სურს, რათა ინგლისის მოწაწყალი განთავისუფლდეს ამერიკის სამხედრო ბაზებისაგან, ატომური ბომბდამშენებისა და ამერიკელი ჯარისკაცებისაგან.

ჰარი პოლიტმა აღნიშნა, რომ ინგლისში საჭირო მნიშვნელობა არ მისცეს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულ იქნა 18 დეკემბერს და რომელთა მიზანია აიძულონ ინგლისელი ხალხი დათანხმოს ატომური და წყალბადის ბომბების გამოყენებას, როგორც ისეთ რამეს, რაც თავისთავად იგულისხმება. ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის საბჭოს სხდომა თავიდანვე ითვალისწინებდა იმას, რომ ეს ბომბები გამოყენებულ იქნება და ფაქტიურად უფლება მიანიჭა ამერიკელ მილიტარისტებს გადაწყვიტონ, როდის და სად გამოიყენებენ მათ.

მთელმა ინგლისმა მტკიცე პროტესტი უნდა განაცხადოს ამ აღმაშფოთებელ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, თქვა პოლიტმა.

მოუწოდა რა დამსწრეთ გააძლიერონ ბრძოლა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ, პოლიტმა აღნიშნა: „მსოფლიო ისტორიაში ჯერ არასოდეს არ მიუღიათ ასეთი ღონისძიებანი რომელიმე ქვეყნის შეიარაღების მიზნით. ეს ხორციელდება ეკონომიური ზეგავლენის, პოლიტიკური შანტაჟისა და ტერორის, თაღლითობისა და მოტყუების გზით. მიზანი ის არის, რომ დასავლეთი გერმანია გადაქცეონ შეიარაღებულ ბასტიონად, საიდანაც შეეძლებათ აწარმოონ ომი მსოფლიოს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ“.

აღნიშნა რა, რომ ბრძოლა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, და მსოფლიოს ხალხებს ჯერ კიდევ შეუძლიათ თქვენ გადამწყვეტი სიტყვა და ჩაფუშონ ომის გეგმები, პოლიტმა განაცხადა: „ახლა საჭიროა, რომ ხალხმა მოითხოვოს ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა ახალი განხილვა ინგლისის პარლამენტში, რომელიც 25 იანვარს განაახლებს მუშაობას. მოწვეულ უნდა იქნას აგრეთვე ლეიბორისტული პარტიის სპეციალური კონფერენცია, რათა მან კვლავ განიხილოს პარტიის პოლიტიკა გერმანიის შეიარაღების მიმართ“.

ჰარი პოლიტმა მოუწოდა ყველა კომუნისტს აქტიური მონაწილეობა მიიღონ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ დღეში, რომელიც მოეწყობა პარლამენტის გახსნის დღეს — 25 იანვარს.

„ჩვენ მეგულ პასუხსაგებ მომენტს განვიცდით“

იტალიის მუშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის მიმართვა

რომი, 5 იანვარი. (საკდესი). იტალიის მშვიდობის მომხრეთა ეროვნულმა კომიტეტმა მიმართა იტალიელ ხალხს მოწოდებით — ებრძოლოს დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისა და ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ. „საერთაშორისო ცხოვრების ამასწინანდელი ამბები, — ნათქვამია მოწოდებაში, — რომლებიც მოწმობენ, რომ ძლიერდება ომის საფრთხე ევროპასა და მთელ მსოფლიოში, ახალ გადაუდებელ ამოცანას სახავენ მშვიდობისათვის მებრძოლთა და ყველა მოქალაქეთა წინაშე, რომლებსაც არა სურთ დამდუპველი მსოფლიო კონფლიქტის უფსკრულში ჩათრეული იხილონ ჩვენი ქვეყანა“.

ეს ამოცანა, აღნიშნულია მოწოდებაში, ის არის, რომ „ჩავშალოთ გერმანელთა შეიარაღებისა და ატომის იარაღით ადამიანთა მოსპობის დამღუპველი გეგმები. დასავლეთ გერმანიის შეიარაღება და ატომური ომი გარდუვალი როდია. კენჭისყრას საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოსა და იტალიის სენატში ჯერ კიდევ შეუძლია ჩაფუშოს ვერმსტის აღორძინების გეგმები. როგორც ხალხის მასების ზეგავლენის შედეგები ცხადყოფენ, არსებობს იმის გზები, რომ ეფექტიანად გავუწიოთ წინააღმდეგობა გერმანიის შეიარაღებას. ამჟამად სენატში პარიზისა და ლონდონის შეთანხმებათა შესახებ კამათის დაწყების წინ ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს და მოვალეა მოსთხოვოს თვითეულ დეპუტატსა და სენატორს მისი კენჭისყრის ანგარიში — რას მისცა ან რას მისცემს ხმას, დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას თუ მის წინააღმდეგ, ომს თუ მშვიდობას. გერმანელთა შეიარაღებისა და ატომური ომის მზადების წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგებზე, რომლებიც მთელ იტალიაში გაიმართება 16-დან 23 იანვრამდე, ათასობით დელეგატი, რომლებმაც პარლამენტის წევრები ინახულეს, საქვეყნო მოახსენებს ხალხს დეპუტატებისა და სენატორების ხმის მიცემის მოტივებს. ამჟამად ჩვენ მეტად პასუხსაგებ მომენტს განვიცდით. ეს პასუხისმგებლობა თვითეულს აკისრია. ამიტომ მეცნიერებმა მთელი ავტორიტეტით უნდა ცხადყონ ის საფრთხე, რომელსაც ატომური ომი შეიცავს. კულტურის მოღვაწეებმა უნდა განაცხადონ, რომ მოგვეულს ბარბაროსობის ახალი ეპოქის დადგომის საფრთხე. პოლიტიკურმა მოღვაწეებმა უნდა უარყონ პარიზის შეთანხმებანი, რომელთა მიზანია დასავლეთ გერმანიის შეიარაღება და ევროპის გათიშვა. დე იტალიელმა ხალხმა მთელი მსოფლიოს ხალხებთან ერთად გზა გადაუღობოს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას“.

მდგომარეობა დასავლეთ ირიანში

ჯაკარტა, 5 იანვარი. (საკდესი). როგორც ანტარას სააგენტო იუწყება, დასავლეთ ირიანის სხვადასხვა რაიონში შეტაკებები ხდება ჰოლანდიის ჯარებსა და მოსახლეობას შორის.

ინდონეზიის პარლამენტის წევრმა დასავლეთირიანელმა პაპარემ განაცხადა, რომ დასავლეთ ირიანის მოსახლეობა სულ უფრო აქტიურად იბრძვის ინდონეზიასთან შეერთებისათვის.

ნიუ-იორკი. 5 იანვარი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, რომელიც იმოწმებს ჯაკარტის ინფორმირებულ წრეებს, ჰოლანდიის ხელისუფალნი აძლიერებენ თავიანთ სამხედრო-საზღვაო ძალებს დასავლეთ ირიანის რაიონში. ამ რაიონში თავმოყრილია ჰოლანდიის ორი საესკადრო ნაღმოსანი, სამი კორვეტი, ტრალერები, სატუქსირო და სხვა დამხმარე გემები. ერთი წლის წინათ ჰოლანდიელებს აქ მხოლოდ კორვეტები ჰქონდათ.

უმუშევრობის ზრდა ავსტრიაში

ვენა, 6 იანვარი. (საკდესი). როგორც ავსტრიის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო იუწყება, 1954 წლის დეკემბრის დამლევს უმუშევართა რიცხვი ავსტრიაში იმავე წლის ნოემბრის დამლევთან შედარებით 65 ათასით გადიდდა. უმუშევრობა ყველაზე მეტად გაიზარდა სამშენებლო, ლითონდამამუშავებელ საფეიქრო და ხისდამამუშავებელ მრეწველობაში.

ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილის განცხადება

ჯაკარტა, 5 იანვარი. (საკდესი). ანტარას სააგენტო იუწყება:

ინდონეზიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილემ ლუკმანმა განაცხადა, რომ კომპარტია მხარს უჭერს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების პრემიერ-მინისტრების ბოგორის თათბირის გადაწყვეტილებებს.

კომპარტიის სახელით ლუკმანმა მოუწოდა ინდონეზიელ ხალხს, ინდონეზიის ყველა დემოკრატიულ პარტიასა „და ორგანიზაციას მხარი დაუჭირონ თათბირის გადაწყვეტილებებს, აგრეთვე იმ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციისათვის მზადება.

კომპარტიას მიაჩნია, განაცხადა ლუკმანმა, რომ ბოგორის თათბირის გადაწყვეტილებას აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის მოწყობის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის საქმისათვის არა მარტო აზიასა და აფრიკაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

მენდეს-ფრანსის მომავალი გამგზავრება იტალიასა და დასავლეთ გერმანიაში

პარიზი, 5 იანვარი. (საკდესი). პარიზის პრესა იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობის მეთაური მენდეს-ფრანსი იტალიაში მიემგზავრება. იმიოწმებს რა კარგად ინფორმირებული წრეებიდან მიღებულ ცნობებს, გაზეთი „კომბა“ წერს, რომ მენდეს-ფრანსი რომში შეხვდება იტალიის მთავრობის მეთაურს შელბას და საგარეო საქმეთა მინისტრს მარტინოს, რის შემდეგაც ეწვევა ვატიკანს.

გაზეთ „ორორს“ მიაჩნია, რომ მენდეს-ფრანსი იტალიიდან გაემგზავრება დასავლეთ გერმანიაში, სადაც შეხვდება ადენაუერს.

გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ამ მოგზაურობას, რომელიც ხდება მალე მას შემდეგ, რაც ეროვნულმა კრებამ პარიზის შეთანხმებანი მოიწონა, მენდეს-ფრანსი აწყობს იმ მიზნით, რომ შეიქმნას საფრანგეთ-გერმანია-იტალიის „სამთა კავშირი“, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობს ვატიკანი.

„ლუმანიტე“ მენდეს-ფრანსის მომავალ გამგზავრებას იტალიაში, ვატიკანსა და დასავლეთ გერმანიაში უწოდებს „შეთქმულებას მშვიდობის წინააღმდეგ“.

მენდეს-ფრანსისა და ადენაუერის მომავალი მოლაპარაკება

პარიზი, 5 იანვარი. (საკდესი). როგორც პარიზის პრესის ცნობებიდან ჩანს, ამჟამად აქტიურად ემზადებიან იანვრის მეორე ნახევარში მენდეს-ფრანსისა და ადენაუერის მოლაპარაკებისათვის. ამ მოლაპარაკების მომზადება დაეკისრათ საფრანგეთის უმაღლეს კომისარს დასავლეთ გერმანიაში ფრანსუა-პონსეს და მენდეს-ფრანსის პირადი კაბინეტის დირექტორის მოადგილეს სუტუს, რომელიც გუშინ ამ მიზნით ბონს გაემგზავრა.

პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით, მოლაპარაკების საჭიროება ნაკარნახევია საფრანგეთ-გერმანიის უთანხმოებით საარის საკითხში.

გაზეთი „ფიგარო“ აღნიშნავს, რომ საარის პრობლემა მთავარი თემა იქნება მენდეს-ფრანსისა და ადენაუერის მომავალი მოლაპარაკების დროს და რომ მას „მეტად დელიკატური“ ხასიათი აქვს.

ჰასტინგსის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

ლონდონი, 5 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ჰასტინგსში გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეშვიდე ტური. ხმისლოგმა მოუგო უნციკერს (დასავლეთ გერმანია) და განიმტკიცა წამყვანი მდგომარეობა ტურნირის ცხრილში. კერესმა მოუგო დონერს (ჰოლანდია) და მეორე ადგილზე გამოვიდა. სამი პარტია გადადებულია.

გუშინ საღამოს მეექვსე ტურის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშებისას უნციკერმა მოუგო ფეირჰერსტს (ინგლისი); ალექსანდერ (ინგლისი) — სპოს (უნგრეთი) და დონერ — ფილიპსის (ინგლისი) პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა გამოფენა

საქართველოს სამხატვრო გალერიაში მოწყობილია ახალგაზრდა მხატვრების 1954 წლის ეტიუდების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, კერამიკის 300-მდე ექსპონატი. გამოფენის მიზანია ფართოდ გააცნოს საზოგადოებრიობას ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრები. მასში ძირითადად მონაწილეობას იღებენ თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულნი.

ფერწერის განყოფილებაში მნახველთა ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა მხატვრის მ. ხვიტიას პეიზაჟები. განსაკუთრებით კარგია მისი „წვიმიანი დღე თბილისში“. ამავე განყოფილებაში წარმოდგენილია მხატვრების რ. ჯალადანიას „კირის ქარხანა“, ჟ. მეძმარიაშვილის „კოლმეურნის ეზო“ და სხვ.

გრაფიკულ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია ნ. იანქოშვილის მაქსიმ გორკის პორტრეტი, ტ. ყუბანეიშვილის მიერ შესრულებული მწერლებისა და პოეტების პორტრეტები და სხვ.

ქანდაკებებს შორის გამოფენილია მ. სარაულის — „ქალიშვილის პორტრეტი“, ვ. ცომაიას — „მაღაროელი“, კერამიკულ ნაწარმოებთა შორის — ა. ბარამიძის, რ. მეტრევლის და სხვ. ნამუშევრები.

გახსნის დღიდან გამოფენა 57.000-ზე მეტმა მნახველმა დაათვალიერა.

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე. ფოტო შ. იაშვილისა.

სამედიცინო ინსტიტუტის გამსვლელი სესია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო სისტემატურად უწევს სამედიცინო დახმარებას საქართველოს რაიონების მშრომელ მოსახლეობას, აწყობს მაღალკვალიფიციური მუშაკების — პროფესორების, დოცენტების და ასისტენტებისაგან შემდგარ გამსვლელ ბრიგადებს, რომლებიც ადგილებზე იღებენ ავადმყოფებს, აკეთებენ ოპერაციებს და აწყობენ შესაფერ მკურნალობას მედიცინის თანამედროვე მიღწევების შესაბამისად.

გარდა ამ მუშაობისა, სამედიცინო ინსტიტუტი საქართველოს რაიონების ექიმთათვის პერიოდულად აწყობს გამსვლელ სამეცნიერო სესიებს სხვადასხვა დისციპლინის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთაგან.

ამ დღეებში ქ. ზესტაფონში მოეწყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სარაიონთაშორისო გამსვლელი სამეცნიერო სესია ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში მომუშავე ექიმებისათვის. სესიას ხელმძღვანელობდა სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ი. მენთეშაშვილი.

სესიამ მოისმინა 17 სამეცნიერო მოხსენება მედიცინის სხვადასხვა დარგიდან, რომელთაგან 5 მოხსენება წაიკითხეს აღნიშნული რაიონების ახალგაზრდა ექიმებმა.

დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი პროფესორების გ. კვიტაშვილის, მ. კომახიძის, ე. გობრონიძის, ა. მინდაძის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორების ვ. კვერენჩხილაძის, ა. ი. კუტუბაიძის, დოცენტების გ. მათიაშვილის, ა. ყანჩელის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ჩაჩანიძის მოხსენებები. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ადგილობრივი ექიმების ნ. ნინიკაშვილის აბესაძის და სხვათა მოხსენებებმა, საბჭოთა კავშირის ქირურგიული იარაღების საექსპერიმენტო ინსტიტუტის მიერ მოწოდებული ახალი ქირურგიული იარაღების დემონსტრაციამ.

კამათში ზოგიერთი მოხსენების გამო გარდა ექიმებისა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი სკოლების მასწავლებლებმა, სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოების მუშაკებმა.

სტუდენტები სტუმრად მსახიობებთან

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ამ დღეებში ესტუმრნენ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივს. მეზეიდერაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრის გამგე პროფესორი დ. აგლაძე, თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. გვინჩიძე. სიტყვები წარმოთქვეს დოცენტმა ი. მოსაშვილმა, სტუდენტებმა ო. ნუცუბიძემ, რ. ხოფერიამ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ბ. კობახიძემ, შ. ღამბაშიძემ და სხვ.

ინსტიტუტმა თეატრს საჩუქრად გადასცა კ. მარჯანიშვილის დიდი პორტრეტი. შეხვედრის შემდეგ გამართულ საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის თვითმოქმედმა კოლექტივმა და თეატრის არტისტებმა.

ა მ ი ნ დ ი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 8 და 9 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა; 8 იანვარს ნალექი, 9 იანვარს უმეტესად უნალექოდ. ცვალებადი მიმართულების ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 5-10 გრადუსი სითბო მთიან რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ რაიონებში ცვალებადი მოღრუბლულობა; 8 იანვარს უმეტესად უნალექოდ, 9 იანვარს აღმოსავლეთ რაიონებში ნალექი. ცვალებადი მიმართულების ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო, დღისით 1-6 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

7 იანვარს
დღის 12 საათზე
ვ. დოლიძე—**ქეთო და კოტე**
საღამოს
ჯ. ვერდი—**ტრავიატა**
დავით გამრეკელის მონაწილეობით

8 იანვარს
დღის 12 საათზე
პ. ჩაიკოვსკი—**ევგენი ონეგინი**
საღამოს
დ. თორაძე—**გორდა**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო სირკი

7, 8, 9 იანვარს
სასკოლო არდადეგების
დღეებში
ყოველდღე ორი საბავშვო
წარმოდგენა დღისით
ნაძვისხე ცირკში

თოვლის ბაბუა, თოვლის ქალი, მასხარები გართობის მომწყობნი, მეგარმონეები, ბავშვების გასეირნება პატარა ცხენებით, ბავშვთა მასობრივი თამაშობანი, სიმღერა, ცეკვა.

ლოგები

რსფსრ დამსახურებული არტისტი
ირინა ბუგრიმოვა
წარმოდგენების დასაწყისი I — დღის 12 საათზე, II — დღის 3 საათზე.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე სკოლებისაგან და დაწესებულებებისაგან.

სალაროები ღიაა დილის 10 საათიდან.

საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, სახლეგის მმართველთა, სახლმფლობელთა და მოქალაქეთა საყურადღებოდ!

„მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ და „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო აცხადებს:

1. სახლების მმართველნი და სახლმფლობელნი ვალდებულნი არიან რაიონების (ქალაქების) საფინანსო განყოფილებათა მიერ დაწესებულ ვადებში წარუდგინონ მათ სახლმფლობელობაში მცხოვრებ მოქალაქეთა და მათი შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროების საგადასახადო აღრიცხვის ბარათები.

2. მოქალაქენი, რომელთაც ქალაქებსა და ქალაქის დასახლებებში აქვთ შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროები (იმ მუშა-მოსამსახურეთა, ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა, კოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა გამოკლებით, რომლებსაც საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშაობის ადგილას ნაშოვრებს გარდა არავითარი სხვა შემოსავალი არა აქვთ), როგორიც არიან არაკოოპერირებული შინამრეწველები და ხელოსნები, მათ შორის მუშები და მოსამსახურეები, კოოპერირებული შინამრეწველები და ხელოსნები, რომლებიც დაქირავებით ან არტელში მუშაობიდან თავისუფალ დროს ეწევიან რეწვას, არტელებისა და საწარმოების შინამომუშავენი; შენობათა მფლობელნი; ბინების გამქირავებელი მოქალაქენი; ექიმები, მასწავლებლები და სხვა პირები, რომლებიც ეწევიან კერძო პრაქტიკას, და სხვ., ვალდებულნი არიან 1955 წლის 15 იანვრამდე წარუდგინონ რაიონის (ქალაქის) საფინანსო განყოფილებას დეკლარაციები (განცხადებები) გასულ 1954 წელს მათ მიერ მიღებული შემოსავლის შესახებ.

1955 წლის განმავლობაში შემოსავლის წყაროების გაჩენის შემთხვევაში პირველი თვის შემოსავლის შესახებ დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნას ამ თვის გასვლიდან ხუთი დღის განმავლობაში.

3. სახელმწიფო გადასახადებში კანონით დაწესებული შეღავათების მისაღებად მუშები, მოსამსახურეები, სარეწაო არტელების წევრები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც გადასახადებით იბეგრებიან მუშა-მოსამსახურეთა თანამარ საფუძველზე, ვალდებულნი არიან 1955 წლის 15 იანვრამდე წარადგინონ თავიანთი სამუშაო ადგილის მიხედვით საბუთები ბავშვების რიცხვის შესახებ, ხოლო იმ პირებმა, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავთ 3 სულზე მეტი, უნდა წარუდგინონ აგრეთვე ცნობები მათ კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვის შესახებ. ცნობები წარდგენილ უნდა იქნას დაწესებული ფორმების მიხედვით.

4. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, მათ შორის სარეწაო-კოოპერაციული არტელების გამგეობები, ვალდებულნი არიან წარადგინონ რაიონების (ქალაქების) საფინანსო განყოფილებებში ცნობები იმ პირთა ნაშოვრების შესახებ, რომლებიც საწარმოებისა და არტელებისათვის მუშაობენ თავიანთი ბინაზე (შინამომუშავენი).

5. საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან წარუდგინონ რაიონების (ქალაქების) საფინანსო განყოფილებებს არაუგვიანეს ყოველი თვის 15 რიცხვისა ცნობები გასულ თვეში მიწოდებული ნაწარმისათვის, შესრულებულ სამუშაოსათვის, გაწეული მომსახურებისათვის და ა. შ. მოქალაქეებზე გაცემული თანხების შესახებ.

6. საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და სახლმმართველობები ვალდებულნი არიან არაუგვიანეს 1 თებერვლისა წარუდგინონ რაიონების (ქალაქების) საფინანსო განყოფილებებს მიმდინარე წლის შენობის გადასახადის და მიწის რენტის გაანგარიშებანი გარდა იმ საცხოვრებელი შენობებისა, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

ახლად აგებულ შენობებზე, რომლებიც საექსპლატაციოდ გადაცემულია წლის განმავლობაში, გაანგარიშება წარდგენილ უნდა იქნას იმ თვეში, რომელშიც ეს შენობები გადაცემულია საექსპლატაციოდ.

აღნიშნულ მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის, აგრეთვე არასრული და არასწორი ცნობების წარდგენისათვის დამნაშავე პირები დაჯარიმდებიან დადგენილი წესით.

განზრახ არასწორი ცნობების წარდგენა იწვევს პასუხისგებას სისხლის სამართლის წესით.

ბლანკების გაცემა წარმოებს რაიონების (ქალაქების) საფინანსო განყოფილებებში სახლმმართველობის ადგილსამყოფელისა და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, სახლმმართველებმა, შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროების მქონე მოქალაქეებმა უნდა უზრუნველყონ სრული და სწორი ცნობების წარდგენა რაიონების (ქალაქების) საფინანსო განყოფილებებში, აგრეთვე კუთვნილი გადასახადების დროულად გადახდა.

უფრო დაწვრილებითი ცნობების მისაღებად უნდა მიმართოთ რაიონების (ქალაქების) საფინანსო განყოფილებებს.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების, კარტოფილისა და საკვები ძირხვენების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისია აცხადებს, რომ კომისიაში შემოსულია შალვა ილიას-ძე ჯალაღანიას განცხადება საზამთროს ჯიშ „სოხუმის“ გამოყვანისათვის სა